

სკოლა _____ კლასი _____

სახელი _____ გვარი _____

ტელეფონი _____

ამოცანა 1: ციფრებით თამაში

2-დან 7-ის ჩათვლით ყველა ციფრის გამოყენებით შესაძლებელია ორი სამნიშნა რიცხვის შედგენა. მაგალითად 536 და 724. ამ ორი რიცხვის სხვაობა 188-ის ტოლია.

გიგას უნდა, ამ 6 ციფრით ისეთი ორი სამნიშნა რიცხვი შეადგინოს, რომ მათი სხვაობა იყოს რაც შეიძლება დიდი. ანას კი უნდა, ამ 6 ციფრით ისეთი ორი სამნიშნა რიცხვი შეადგინოს, რომ მათი სხვაობა (დიდს რომ პატარას გამოვაკლებთ) იყოს რაც შეიძლება მცირე.

ა) რა რიცხვები უნდა შეადგინოს გიგამ და რა იქნება მათი სხვაობა?

ბ) რა რიცხვები უნდა შეადგინოს ანამ და რა იქნება მათი სხვაობა?

(პასუხი დაასაბუთეთ).

ამოცანა 2: მოგზაური კუნძულზე

მოგზაური შეხვდა კუნძულის სამ მობინადრეს, A-ს, B-სა და C-ს, რომელთაგან ერთ-ერთი რაინდია და ყოველთვის სიმართლეს ამბობს, მეორე თაღლითია და ყოველთვის ცრუობს, ხოლო მესამე მოქალაქეა და ხან სიმართლეს ამბობს, ხან – ტყუილს. შეკითხვაზე, თუ ვინ ვინ არის მათ შორის, მობინადრეებმა ასე უპასუხეს:

A: C რაინდია;

B: მე მოქალაქე არ ვარ;

C: B თაღლითი არ არის;

რომელია ამ სამს შორის მოქალაქე და რომელია რაინდი? (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოცანა 3: უცნაური გოგონა

ერთი უცნაური გოგონა სამშაბათობით და ოთხშაბათობით ყოველთვის სიმართლეს ამბობს, შაბათობით ყოველთვის ცრუობს, კვირის სხვა დღეებში კი ან სიმართლეს ამბობს ან ცრუობს. მას ზედიზედ 6 დღის განმავლობაში ეკითხებოდნენ წლოვანებას. ის ასე პასუხობდა: 10 წლის, 9 წლის, 11 წლის, 9 წლის, 10 წლის, 11 წლის.

როგორ უპასუხებს იგივე შეკითხვას გოგონა მომდევნო დღეს და რამდენი წლისაა ის სინამდვილეში? (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოცანა 4: ფანქრები კოლოფში

კოლოფში 5 წითელი, 11 ლურჯი და 6 მწვანე ფანქარია. სულ ცოტა რამდენი ფანქარი უნდა ამოვიღოთ კოლოფში ჩაუხედავად, რომ მათ შორის აუცილებლად იყოს: ა) 2 წითელი ფანქარი; ბ) 5 ლურჯი ფანქარი; გ) 3 წითელი და 3 ლურჯი; დ) ერთი ფერის 3 ფანქარი; ე) რომელიმე ორი ფერის 3-3 ფანქარი?

ამოცანა 5: რამდენი რიცხვია ასეთი?

გაეცით დასაბუთებული პასუხები შევითხვებს:

1. რამდენი ორნიშნა ნატურალური რიცხვია, რომელიც იყოფა 2-ზე და 7-ზე?
2. რამდენი ორნიშნა ნატურალური რიცხვია, რომელიც იყოფა 2-ზე და არ იყოფა 7-ზე?
3. რამდენი ორნიშნა ნატურალური რიცხვია, რომელიც იყოფა 7-ზე და არ იყოფა 2-ზე?
4. რამდენი ორნიშნა ნატურალური რიცხვია, რომელიც იყოფა ან 2-ზე ან 7-ზე?
5. რამდენი ორნიშნა ნატურალური რიცხვია, რომელიც არ იყოფა არც 2-ზე და არც 7-ზე?